## ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

| | |
|---|---|
| **პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)** | ფსიქოლოგია<br>Psychology |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | მეცნიერების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში<br>BSc in Psychology |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება** | საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.<br>240 ECTS განაწილებულია 4 აკადემიურ წელსა (თითო 60 ECTS) და 8 სემესტრზე (თითო 30 ECTS), სადაც:<br>სავალდებულო კურსები შეადგენს 145 ECTS (110 კრედიტი ფსიქოლოგიის დარგის და 35 კრედიტი საუნივერსიტეტო სასწავლო საგნები)<br>ფსიქოლოგიის დარგის არჩევითი კურსები 25 ECTS<br>თავისუფალი - 10 ECTS<br>მაინორი- 60 ECTS |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი** | პროგრამის ხელმძღვანელები:<br>○ თამარ გაგოშიძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;<br>○ ხათუნა მარწყვიშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;<br>○ მანანა მელიქიშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;<br>საერთაშორისო კონსულტანტი:<br>პროფესორი ნორბერტ ტანცერი, გრაცის უნივერსიტეტის |

| | |
|---|---|
| | ფსიქოლოგიის კურიკულუმის კომისიის ხელმძღვანელი<br>Norbert Tanzer, Prof Dr.. Head of curriculum commission |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br>უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე;<br>პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ-ის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | საბაკალავრო პროგრამა ,,ფსიქოლოგია'' ეყრდობა თსუ მისიას და მიზნებს და თავის მხრივ მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას.<br>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:<br>• მისცეს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის ფუნდამენტური ცნებების, პრინციპების, კანონზომიერებებისა და თეორიების შესახებ;<br>• განუვითაროს სამეცნიერო წყაროების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, სამეცნიერო სიახლეების მოძიებისა და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;<br>• გამოუმუშვოს ემპირიული კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;<br>• გამოუმუშავოს ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარი;<br>• განუვითაროს შეძენილი თეორიული ცოდნის, პრაქტიკული |

| | |
|---|---|
| | უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების საფუძველზე საკუთარი პროფესიული საქმიანობის უნარი. |
| სწავლის შედეგები | |
| ცოდნა და გაცნობიერება | ფსიქოლოგიის ბაკალავრი:<br>1. მსჯელობს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, კონცეპტუალურ საფუძვლებზე, მიზნებსა და ამოცანებზე, კრიტიკულად აფასებს ფსიქოლოგიურ თეორიებსა და კვლევებს;<br>2. აანალიზებს და მსჯელობს ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებების, ფსიქიკისა და თავის ტვინის ურთიერთმიმართების, ინდივიდის განვითარების, სწავლა/სწავლების, მისი პიროვნული, სოციალური, ორგანიზაციული და კულტურული ქცევის ასპექტების შესახებ განსხვავებული პერსპექტივიდან, სხვადასხვა მეთოდის, თეორიის, მტკიცებულებისა და მიდგომის გათვალისწინებით;<br>3. განმარტავს საკვლევი საკითხის აქტუალობის, სიახლის, კვლევისათვის ადეკვატური მეთოდებისა და ვალიდური ინსტრუმენტების შერჩევის აუცილებლობას. |
| უნარები | ფსიქოლოგიის ბაკალავრს შეუძლია:<br>4. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ლოგიკური არგუმენტების წარმოდგენა, რომლებიც ეხება მოცემულ პრობლემას ან საქმიანობას. საჯარო მოხსენების გაკეთება და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;<br>5. მცირემასშტაბიანი ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება კვლევის ადექვატური მეთოდის (დაკვირვება, ექსპერიმენტი, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი) გამოყენებით; რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემებისა და შედეგების გაანალიზება, წარმოდგენა და შეფასება; სხვადასხვა ინსტრუმენტით, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით, ლაბორატორიული აღჭურვილობითა და ფსიქომეტრული ინსტრუმენტებით სარგებლობა; შესრულებული სამუშაოს (კვლევის) ანგარიშის |

| | |
|---|---|
| | მომზადება.<br>6. საზოგადოებრივი პრობლემების გადასაწყვეტად ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენება ეთიკური, კონცეპტუალური, ორგანიზაციული და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** | ფსიქოლოგიის ბაკალავრი:<br>7. აღიარებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლი პრინციპის მნიშვნელობასა და პროფესიული განვითარების გაგრძელების აუცილებლობას. კონსტრუქციულად და კრიტიკულად აანალიზებს საკუთარი სწავლის შედეგებს;<br>8. აცნობიერებს საზოგადოებაში ფსიქოლოგის პროფესიის როლს, სტაბილური, დემოკრატიული და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარებაში. |
| **სწავლა/სწავლების მეთოდები** | ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებს სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა/სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.<br>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლა/სწავლების მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარს. სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა –პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი |

| | |
|---|---|
| | გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა/სწავლების მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.<br><br>ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა/სწავლების მეთოდებს:<br><br>○ ლექცია;<br>○ სემინარი/სამუშაო ჯგუფი;<br>○ პრაქტიკული მეცადინეობა;<br>○ კონსულტაცია;<br>○ დისკუსია/დებატები,<br>○ თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება,<br>○ ჯგუფური (collaborative) მუშაობა,<br>○ დემონსტრირება,<br>○ ახსნა-განმარტება,<br>○ გონებრივი იერიში,<br>○ შემთხვევების ანალიზი (Case study),<br>○ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL),<br>○ როლური/სიტუაციური თამაშები<br>○ ელექტრონული სწავლება (e-learning)<br><br>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაძლოა, იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. |
| **შეფასების წესი** | ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.<br><br>სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს — შუალედურ (ერთ- ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) |

| | |
|---|---|
| | მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და სხვა.<br><br>შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა.<br><br>შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.<br><br>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50% ).<br><br>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br><br>ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.<br><br>**შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:**<br><br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა<br>სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით |

| | |
|---|---|
| | გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი<br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.<br>შეფასების მიღების შემდეგ ხდება უკუგება სტუდენტსა და პედაგოგს შორის მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირი სხვადასხვა ფორმისაა – აუდიტორიაში, საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს, ან ელექტრონული ფოსტით სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. |
| **დასაქმების სფეროები** | ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმება შესაძლებელია:<br>სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება ფსიქოლოგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.<br>განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულების სამინისტროების შესაბამის დეპარტამენტებსა, ცენტრებსა და ორგანიზაციებში;<br>ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომლის საქმიანობა უკავშირდება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა |

| | |
|---|---|
| | აღზრდა–განვითარებას თუ სწავლებას, მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვასა და რეაბილიტაციას, მათთვის პროფესიული დახმარების აღმოჩენას.<br>კერძო სტრუქტურაში ან სახელმწიფო ორგანიზაციაში, რომლის ინტერესები მოიცავს ორგანიზაციული ცვლილებებისა და განვითრების, ადამიანური რესურსის მართვის და შეფასების სისტემების შესწავლასა და დაგეგმვას;<br>კონკრეტულ კვლევით პროექტებში, სასწავლო და ტრენინგ-პროგრამებში. |
| **სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის** | წლიური გადასახადი ერთ სტუდენტზე განისაზღვრება 2250 ლარის ოდენობით. |
| **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი** | **პროგრამის ადამიანური რესურსი:**<br>პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები.<br>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 82 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 30 (5 პროფესორი, 20 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი), ხოლო 52 – დარგის მოწვეული სპეციალისტია.<br>***იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი.***<br>**პროგრამის მატერიალური რესურსი:**<br>• პროგრამა ხორციელდება თსუ-ის მესამე სასწავლო კორპუსში.<br>○ საერთო ფართი - 3091.48 კვ.მ სასწავლო ფართის საერთო მოცულობა - 1213,23კვ/მ;<br>○ აუდიტორიების საერთო რაოდენობა -24 ერთეული.<br>○ კომპიუტერული რესურსცენტრი (ოთახი 206) 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის,<br>○ ლაბორატორია 1 – 20 ერთეული კომპიუტერი;<br>○ ლაბორატორია 2 - 20 ერთეული კომპიუტერი;<br>○ ტრენინგის ჩასატარებელ ოთახი- 2;<br>○ აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814.<br>• თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა;<br>სასწავლო პროგრამა იყენებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალას (მათ შორის, ელექტრონულ მატარებლებზე |

| | |
|---|---|
| | არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით;<br><br>2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, და შესაბამისად პროგრამის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - “Web of Science (WoS) 10 ”.<br><br>“Web of Science” პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან www.webofscience.com<br><br>“Web of Science” პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა.<br><br>• აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკით: თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა; განახლებულია ინფრაქტრუქტურა;<br>• კორპუსში განთავსებულია სამზარეულო პერსონალისათვის.<br><br><u>**პროგრამის ფინანსური რესურსი:**</u><br><br>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები.<br><br>უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია თანხები ეკონომიკური შემოსავლების არაუმეტეს 2%-ის მოცულობით და სემესტრულად გაიცემა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას აკადემიური შედეგების გათვალისწინებით. |
| **დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)** | დაარსებიდანვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით, გაიხსნა ფსიქოლოგიის კათედრა. 1923 წელს შესაძლებელი გახდა კათედრასთან ფსიქოლოგიური ლაბორატორიის გახსნა, ხოლო 1926 წელს |

საქართველოში დაარსდა ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომლის წევრებიც თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ. სწორედ ფსიქოლოგიის კათედრასა და მის ბაზაზე გახსნილ ლაბორატორიაში შეიქმნა და დამუშავდა მსოფლიოში ცნობილი დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია და საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას.

1950 წლიდან ფსიქოლოგიის კათედრას სათავეში ჩაუდგა დ. უზნაძის მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელი - აკადემიკოსი რევაზ ნათაძე. კათედრის სამეცნიერო კვლევის დიაპაზონი უაღრესად ფართო იყო. მისი მეცნიერული პროდუქცია მოიცავდა ფსიქოლოგიის ყველა დარგს: ზოგად ფსიქოლოგიას, დიფერენციალურ, ბავშვისა და გენეტიკურ ფსიქოლოგიას, პედაგოგიურ ფსიქოლოგიას, დეფექტოლოგიას. ფართოდ გაიშალა განწყობის, მისი ბუნების, მის გამოვლენათა კანონზომიერების ექსპერიმენტული კვლევა და განწყობის თეორიის დამუშავება. ფსიქოლოგიის კათედრას თავისი მეცნიერული პროდუქცია სისტემატიურად გაჰქონდა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ფორუმებზე.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში დ. უზნაძის ინიციატივით დაიწყო ფსიქოლოგიის მეცნიერული მონაპოვრის პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა. გაიხსნა ფსიქოტექნიკური ლაბორატორიები, ბავშვთა აღზრდისა და განათლების ფსიქოლოგიურ - მეთოდოლოგიური განყოფილებები, საავადმყოფოებში კლინიკური ფსიქოლოგიის განყოფილებები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიაში კადრების მომზადება 1918 წლიდან ხდებოდა, ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დამოუკიდებელი სახით მხოლოდ 1990 წელს დაფუძნდა.

2005 წელს ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, სხვა ფაკულტეტთან და კათედრებთან ერთად შევიდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში - როგორც დეპარტამენტი. 2008 წლიდან კი ის წარმოადგენდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულებას.

2014 წლის ოქტომბერში, ფსიქოლოგიის მიმართულება გამოეყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს და

| | |
|---|---|
| | ჩამოყალიბდა ახალი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი.<br>ამჟამად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობს 1055 სტუდენტი. |

## სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფსიქოლოგია

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

კრედიტების რაოდენობა: 240

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: პროფესორი თამარ გაგოშიძე, ასოც.პროფესორი მანანა მელიქიშვილი, ასოც. პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: დადგენილება 50/2021; 21 ივნისი 2021 წელი (დანართი 225); ცვლილება: დადგენილება 15/2022, 14.02.2022 (დანართი (225). ცვლილება: დადგენილება 62/2022, 26.07.2022 (დანართი (225).

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022 სასწავლო წელი

## პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტი:

- სპეციალობის კურსები - 135 კრედიტი (ECTS)
  - I დონე – 25 კრედიტი სავალდებულო,
  - II დონე – 45 კრედიტი სავალდებულო,
  - III დონე – 40 სავალდებულო და 25 არჩევითი კრედიტი (სპეციალობის კურსები)

- პირველი დონის არასპეციალობის კურსები - 35 კრედიტი სავალდებულო
- მაინორი - 60 კრედიტი [1]
- თავისუფალი არჩევითი საგნები -10 კრედიტი

[1] სტუდენტს შეუძლია, სურვილისებრ, აიღოს მაინორი სხვა სპეციალობაში. ასევე, მას შეუძლია მაინორისა და თავისუფალი არჩევითი საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტები შეასვსოს როგორც საფაკულტეტო არჩევითი, ასევე, საუნივერსიტეტო არჩევითი საგნებით.

## პროგრამის სტრუქტურა [2]

| სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | კოდი | სასწავლო კურსის სახელწოდება | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | სილაბუსის ავტორები |
| | | | | საკონტაქტო | | | | | | [illegible] | [illegible] | |
| | | | | ლექცია | სემინარი / | პრაქტიკ | დამოუკი | სულ | | | | |
| პირველი სასწავლო წელი<br>სავალდებულო კურსები – 50 კრედიტი<br>(მათ შორის სპეციალობის კურსები - 25 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 1. | | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | 5 | 15 | 15 | 15 | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | | ი. ჟვანია<br>თ. აბაშიძე |
| 2. | | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | 5 | 15 | 30 | | 80 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | | √ | მ. მესტვირიშვილი<br>თ. აბაშიძე |
| 3. | | ინგლისური ენა 1[3] | 5 | | | 60 | 65 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | | |
| 4. | | ინგლისური ენა 2 | 5 | | | 60 | 65 | 125 | ინგლისური ენა 1* | | | |
| 5. | | კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1 | 5 | 15 | | 15 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | | ა. ქიტიაშვილი<br>თ. აბაშიძე<br>ი. ჟვანია |

[2] საჭიროებისამებ, კურსები შეიძლება გამოცხადდეს დამატებით სხვა სემესტრშიც ან შეიცვალოს სემესტრი

[3] საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6. | | კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2 | 5 | 15 | | 15 | 95 | 125 | კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1 | | √ | ა. ქიტიაშვილი<br>თ. აბაშიძე<br>ი. ჟვანია |
| 7. | | ბიოლოგიური ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | ნ.დორეული |
| 8. | | სტატისტიკა 1 | 5 | 15 | 30 | | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | ზ. ხეჩინაშვილი<br>ო.ფურთუხია |
| 9. | | სტატისტიკა 2 | 5 | 15 | 30 | | 80 | 125 | სტატისტიკა 1 | √ | √ | ო. ფურთუხია<br>ზ.ხეჩინაშვილი |
| 10. | | ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის | 5 | 15 | | 15 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | ხ.მარწყვიშვილი, ნ. საღარაძე, ნ.ასათიანი |
| **საუნივერსიტეტო - არჩევითი კურსები (2 საგანი ) – 10 კრედიტი[4]** | | | | | | | | | | | | |
| 11. | | ანთროპოლოგია-რჩეული თემები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | ლ. სურმანიძე |
| 12. | | სოციოლოგიის შესავალი | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | თ. თოფჩიშვილი |
| 13. | | სოციალური მუშაობის შესავალი | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | გ. წოწკოლაური |
| 14. | | პოლიტიკის მეცნიერების შესავალი | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | ს. დუნდუა |
| 15. | | მსოფლმხედველობრივი პარადიგმები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | მ. სურმავა<br>ი.სურმავა |
| 16. | | ლოგიკა | 5 | 30 | | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | | მ. სურმავა |
| 17. | | გარემოს ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | | მ.დესპოტაშვილი |
| 18. | | ინკლუზიის გამწვევები საზოგადოებაში | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | გ.ახმეტელი<br>ს.აბაშიძე |

[4] მოცემული არჩევითი საგნების ბლოკიდან სავალდებულოა 10 კრედიტის გავლა

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | ს.შუბითიძე |
| **19.** | | მედიაწიგნიერების ფსიქოლოგიური საფუძვლები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ე.ფირცხალავა<br>ა.გვეტაძე |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწავლების მეორე წელი<br>სავალდებულო სწავლების კურსები - 45 კრედიტი | | | | | | | | | | | |
| **20.** | | ადამიანის განვითარება 1 | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | √ | | მ. მელიქიშვილი |
| **21.** | | ადამიანის განვითარება 2 | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ადამიანის განვითარება 1 | | √ | მ. მელიქიშვილი |
| **22.** | | განათლების ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | | √ | მ. წერეთელი |
| **23.** | | კოგნიტური ფსიქოლოგია 1 | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | √ | | თ. გაგოშიძე |
| **24.** | | კოგნიტური ფსიქოლოგია 2 | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | კოგნიტური ფსიქოლოგია 1 | | √ | თ. გაგოშიძე |
| **25.** | | მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით | 5 | | | 30 | 95 | 125 | სტატისტიკა 2 | √ | √ | ლ. არუთინოვი<br>ხ. მარწყვიშვილი |
| **26.** | | სოციალური ფსიქოლოგია 1 | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | √ | | ა. ქიტიაშვილი |
| **27.** | | სოციალური ფსიქოლოგია 2 | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | სოციალური ფსიქოლოგია 1 | | √ | ა. ქიტიაშვილი |
| **28.** | | შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | √ | | ი. კუტალაძე |
| არჩევითი კურსები<br>(იხ. არჩევითი საგნებისა და სპეცკურსების ბლოკი) | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწავლების მესამე წელი<br>სავალდებულო ფსიქოლოგიური კურსები - 35 კრედიტი | | | | | | | | | | | | |
| **29.** | | განწყობის ფსიქოლოგია 1 | 5 | 30 | 15 | | 80 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | √ | | ვ. ნადარეიშვილი |
| **30.** | | განწყობის ფსიქოლოგია 2 | 5 | 30 | 15 | | 80 | 125 | განწყობის ფსიქოლოგია 1 | | √ | ვ. ნადარეიშვილი |
| **31.** | | ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1 | 5 | 10 | 8 | 12 | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2<br>კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2 | √ | | მ. რობაქიძე |
| **32.** | | ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 2 | 5 | 4 | 20 | 6 | 95 | 125 | ექსპერიმენტული ფსიქოლოგია1<br>სტატისტიკა 2 | | √ | მ. რობაქიძე |
| **33.** | | პიროვნების ფსიქოლოგია 1 | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | √ | | ლ. ხეჩუაშვილი |
| **34.** | | პიროვნების ფსიქოლოგია 2 | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | პიროვნების ფსიქოლოგია 1 | | √ | ლ. ხეჩუაშვილი |
| **35.** | | ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები | 5 | 15 | 8 | 7 | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | √ | √ | ლ. არუთინოვი |
| არჩევითი კურსები<br>(იხ. არჩევითი საგნებისა და სპეცკურსების ბლოკი) | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| სწავლების მეოთხე წელი<br>სავალდებულო ფსიქოლოგიური კურსები - 5 კრედიტი | | | | | | | | | | | | |
| **36.** | | კვლევითი ნაშრომი | 5 | | | 30 | 95 | 125 | კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2<br>მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით | √ | √ | თ. გაგოშიძე<br>ხ.მარწყვიშვილი |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არჩევითი კურსები<br>(იხ. არჩევითი საგნებისა და სპეცკურსების ბლოკი) | | | | | | | | | | | | |
| სპეციალობის არჩევითი საგნები და სპეცკურსები<br>(25 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| **37.** | | ადამიანი სოციალურ კონტექსტში - ფსიქოსოციალური ფსიქოანალიზი | 5 | 17 | 13 | | 95 | 125 | სოციალური ფსიქოლოგია 2.<br>ინგლისური ენის ცოდნა B1. | | | მ.ჩიტაშვილი |
| **38.** | | ადამიანის ცხოვრების ისტორიის კვლევა და ნარატივის ანალიზი | 5 | 15 | | 15 | 95 | 125 | პიროვნების ფსიქოლოგია 2<br>კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2<br>ინგლისური ენა (B1) | √ | √ | ლ. ხეჩუაშვილი |
| **39.** | | ადამიანური რესურსის მენეჯმენტი | 5 | 15 | 10 | 5 | 95 | 125 | შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია | √ | | ი. კუტალაძე |
| **40.** | | ბავშვთა მიმართ ძალადობა | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ადამიანის განვითარება 1 | | √ | მ. მელიქიშვილი |
| **41.** | | ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2<br>კოგნიტური ფსიქოლოგია 2<br>ადამიანის განვითარება 2 | | √ | შ. მამუკაძე |
| **42.** | | ეთნიკური იდენტობა, სამშობლო და ნაციონალიზმი | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | ლ. გამსახურდია |
| **43.** | | თანამედროვე მიმდინარეობები ფსიქოლოგიაში | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | | √ | ი. იმედაძე |
| **44.** | | თვითაღწერითი საზომები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ინგლისური ენა B1 | √ | | ნ. სუმბაძე<br>ა.ქიტიაშვილი |
| **45.** | | ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ადამიანის განვითარება 1<br>განათლების ფსიქოლოგია | √ | √ | ე. დგებუაძე |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **46.** | | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | სოციალური ფსიქოლოგია 2 | √ | | მ. დესპოტაშვილი |
| **47.** | | იურიდიული ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | განწყობის ფსიქოლოგია2 | | √ | ვ. ნადარეიშვილი |
| **48.** | | კროსკულტურული კომუნიკაცია მულტიკულტურულ გარემოში | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | სოციალური ფსიქოლოგია 2 | √ | | ე. ფირცხალავა<br>მ.დესპოტაშვილი |
| **49.** | | კარიერის კონსულტირება | 5 | 15 | 12 | 3 | 95 | 125 | შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია | | | ი. კუტალაძე<br>ს. ვაჩნაძე |
| **50.** | | კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | ნ. ოკრიბელაშვილი |
| **51.** | | კოგნიტური პროცესები სწავლა-სწავლების პროცესში | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | კოგნიტური ფსიქოლოგია 2<br>განათლების ფსიქოლოგია<br>ინგლისური ენა B1 | | √ | მ. წერეთელი<br>ი. აფთარაშვილი |
| **52.** | | კონსტრუქციული ურთიერთობის საფუძვლები საკლასო ოთახში (პრაქტიკული კურსი) | 5 | | 15 | 15 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | მ. მელიქიშვილი |
| **53.** | | კროსკულტურული ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ინგლისური ენის ცოდნა B1 | √ | | ე. კვანჭილაშვლი |
| **54.** | | კულტურა და ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2<br>პიროვნების ფსიქოლოგია 1<br>სოციალური ფსიქოლოგია 1 | | √ | ლ.სურმანიძე<br>ლ. გამსახურდია |
| **55.** | | ლიდერობის თეორია და პრაქტიკა | 5 | 15 | 10 | 5 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | გ. ყიფიანი |
| **56.** | | მართვის ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | სოციალური ფსიქოლოგია 2 | √ | √ | ლ.ჩხიკვიშვილი |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 57. | | მასობრივი კომუნიკაცია: კულტურული და პოლიტიკური ასპექტები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | ე. კვანჭილაშვილი |
| 58. | | მორალის ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ინგლისური ენა (B1) | | √ | მ. მესტვირიშვილი |
| 59. | | მცირე ჯგუფების ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | √ | | მ. დესპოტაშვილი |
| 60. | | ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | კოგნიტური ფსიქოლოგია 2<br>ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | √ | | თ.გაგოშიძე |
| 61. | | ორგანიზაციული ქცევა | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია | | √ | თ. გველესიანი |
| 62. | | ოჯახის ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ინგლისური ენა (B1) | √ | √ | ე. ფირცხალავა |
| 63. | | პათოფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | √ | √ | ლ. ხეჩუაშვილი |
| 64. | | პერსონალის შერჩევა | 5 | 15 | 10 | 5 | 95 | 125 | შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია | | √ | ი. კუტალაძე |
| 65. | | პოლიტიკური ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | ე. კვანჭილაშვილი |
| 66. | | პროფესიულ უნართა პრაქტიკუმი | 5 | 15 | 5 | 10 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | გ. ყიფიანი |
| 67. | | მომხმარებლისა და რეკლამის ფსიქოლოგია | 5 | 14 | 12 | 4 | 95 | 125 | კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1 | | √ | მ. რობაქიძე |
| 68. | | სამუშაო და კეთილდღეობა | 5 | 15 | 10 | 5 | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2<br>ინგლისური ენა B1 | √ | √ | ი. კუტალაძე |
| 69. | | სელფი და იდენტობა | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ინგლისური ენა B 1 | | √ | მ. მესტვირიშვილი |
| 70. | | სკოლამდელი ასაკის ბავშვის | 5 | 15 | 10 | 5 | 95 | 125 | ადამიანის განვითარება 1 | | √ | მ.მელიქიშვილი<br>ნ. ლაზარტყავა |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფსიქოლოგია | | | | | | | | | | |
| 71. | | სოციალურ–ფსიქოლოგიური გავლენები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | | √ | ე. ფირცხალავა |
| 72. | | სპეციალური პრაქტიკული კურსი სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურში | 5 | 15 | | 15 | 95 | 125 | ადამიანის განვითარება 2 | √ | √ | ს. თევდორაძე |
| 73. | | სწავლა–სწავლების თანამედროვე მიდგომები და მათი გამოყენების პრაქტიკა | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | განათლების ფსიქოლოგია | √ | √ | მ. წერეთელი<br>ი. აფთარაშვილი |
| 74. | | სწავლის მექანიზმები და კომპონენტები | 5 | | 30 | | 95 | 125 | განათლების ფსიქოლოგია<br>ინგლისური ენა B1 | | √ | მ. წერეთელი<br>ი. აფთარაშვილი |
| 75. | | ფსიქოანალიზის ძირითადი ცნებები | 5 | 18 | 12 | | 95 | 125 | ადამიანის განვითარება 2<br>სოციალური ფსიქოლოგია 2<br>ინგლისური ენის ცოდნა B1 | √ | | მ. ჩიტაშვილი |
| 76. | | ფსიქოლინგვისტიკის შესავალი | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | | ი. მინდაძე |
| 77. | | ფსიქობიოგრაფია | 5 | 15 | | 15 | 95 | 125 | პიროვნების ფსიქოლოგია 2<br>კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2<br>ინგლისური ენა (B1) | √ | | ლ. ხეჩუაშვილი |
| 78. | | ფსიქოლოგიის ისტორია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2 | √ | | ი. იმედაძე |
| 79. | | ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2<br>ანთროპოლოგია | | √ | ლ. სურმანიძე |
| 80. | | ფსიქოლოგიური კონსულტირება | 5 | 14 | | 16 | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2<br>კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2 | √ | √ | მ. ჩიტაშვილი<br>მ. ფანჯიკიძე |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | პიროვნების ფსიქოლოგია 2 | | | |
| **81.** | | ფსიქომეტრიის შესავალი | 5 | 15 | 15 | 15 | 95 | 125 | კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2 | | √ | ი. კუტალაძე |
| **82.** | | ქცევითი და ემოციური აშლილობები ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში | 5 | 15 | | 15 | 95 | 125 | ადამიანის განვითარება 2 | √ | | თ. ლოდია |
| **83.** | | ქცევითი პრობლემები სკოლაში | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ადამიანის განვითარება 2 | | √ | ნ. ლაზარტყავა |
| **84.** | | ქცევის გამოყენებითი ანალიზი | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 | | √ | თ. გაგოშიძე |
| **85.** | | შესავალი პოზიტიურ ფსიქოლოგიაში | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ინგლისური ენა (B1) | √ | √ | ხ. მარწყვიშვილი |
| **86.** | | ცრუ რწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | | ა. ქიტიაშვილი |
| **87.** | | ძალადობის მსხვერპლი ბავშვების და მოზარდების დახმარების მეთოდები | 5 | | 15 | 15 | 95 | 125 | ბავშვთა მიმართ ძალადობა | | √ | მ.მელიქიშვილი |
| **88.** | | ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის საფუძვლები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | თ. გაგოშიძე |
| **89.** | | ჯგუფთან მუშაობის მეთოდები | 5 | 15 | 10 | 5 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | გ. ყიფიანი |
| **90.** | | აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სკოლაში | 5 | 14 | 7 | 9 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | თ.გაგოშიძე<br>ნ.მაკარაძე<br>მ.გურგენიძე<br>ნ.მიქელაძე |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **91.** | | დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია | 5 | 13 | 9 | 8 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | მ.მეტრეველი<br>ნ.ქობულაძე<br>მ.ნიკოლაძე<br>ნ.ნახუცრიშვილი<br>მ.მიქელაძე<br>უ.მარკოვსკა მანიცა<br>მ.ზიტკო |
| **92.** | | ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება | 5 | 13 | 10 | 7 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | √ | ი.ჟვანია<br>თ.აბაშიძე<br>მ.გურგენიძე<br>ნ.მიქელაძე |
| **93.** | | არავერბალური კომუნიკაცია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ინგლისური ენა B1 | | | ა. ქიტიაშვილი<br>ნ. ფარსადანიშვილი |
| **94.** | | ბულინგის მართვა და პრევენცია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ნ.ასათიანი |
| **95.** | | სპორტის და ვარჯიშის ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2<br>ინგლისური ენა B1 | | | ლ.ლეჟავა<br>ლ.ხეჩუაშვილი |
| **96.** | | ბიზნესის ფსიქოლოგია | 5 | 15 | 30 | | 80 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | გ.გოროშიძე |
| **97.** | | სოციალური ქცევა და აზროვნების მექანიზმები | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | ინგლისური ენა (B2) | | | ე.ფირცხალავა |
| | | | | | | | | | | | | |
| **98.** | | ვექსლერის ინტელექტის სკალა ბავშვებისათვის - მეოთხე გამოცემა (ვისბ-IV) | 5 | 6 | | 24 | 95 | 125 | ფსიქოლოგიის საფუძვლები 2<br>ადამიანის განვითარება 2<br>კოგნიტური ფსიქოლოგია 2 | | √ | შ. მამუკაძე |
| **99.** | | ემოციური ინტელექტის კონცეპტუალიზაცია და შეფასების მეთოდები | 5 | 12 | 10 | 8 | 95 | 125 | ინგლისური ენა (B1) | √ | √ | ხ.მარწყვიშვილი |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **100.** | | კონფლიქტების მართვა | 5 | 15 | 15 | | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | გ.ყიფიანი |
| **101.** | | პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება კრიზისის სიტუაციაში | 5 | 15 | | 15 | 95 | 125 | წინაპირობის გარეშე | √ | √ | მ.დესპოტაშვილი |
| **102.** | | შემოქმედებითობის ფსიქოლოგია | 5 | 12 | 17 | | 96 | 125 | ინგლისური ენა B2;<br>კოგნიტური ფსიქოლოგია 2 | | | ნ.სორდია |
| **103.** | | სწავლის ფსიქოლოგიური ასპექტები დიჯიტალურ სამყაროში | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | განათლების ფსიქოლოგია<br>ინგლისური ენა B1 | | | მ.წერეთელი<br>მ.რევიშვილი |
| **104.** | | აკადემიური სირთულეების ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | განათლების ფსიქოლოგია<br>ინგლისური ენა B1 | | | მ.წერეთელი<br>მ.რევიშვილი |
| | | თავისუფალი კრედიტი | 10 | | | | | | | | | |
| ინგლისურენოვანი კურსები გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის | | | | | | | | | | | | |
| **105.** | | Cross-Cultural Psychology | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | No prerequisite | √ | √ | Medea Despotashvili |
| **106.** | | Introduction to psychology | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | No prerequisite | √ | √ | Maia Mestvirishvili |
| **107.** | | Personality, culture, and social boundaries | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | No prerequisite | √ | √ | Vladimer Gamsakhurdia |
| **108.** | | Positive Psychology | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | No prerequisite | √ | √ | Khatuna Martskvishvili |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **109.** | | Social Psychology | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | No prerequisite | √ | √ | Anastasia Kitiashvili |
| **110.** | | Interpersonal Communication | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | No prerequisite | √ | √ | Medea Despotashvili |
| **111.** | | Business Psychology | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | No prerequisite | √ | √ | Maia Mestvirishvili |
| **112.** | | Environmental Psychology | 5 | 15 | 15 | | 95 | 125 | No prerequisite | √ | √ | Medea Despotashvili |